



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 359

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დამატოს №725–№733 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის N50 პუნქტის გასწვრივ, მე-4 სვეტში, ჩანაწერი: „200.4“, შეიცვალოს ჩანაწერით: „200.0“; მე-5 სვეტში, ჩანაწერი: „03.04.01.619“, შეიცვალოს ჩანაწერით: „03.04.26.480“.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის N575 პუნქტის გასწვრივ, მე-6 სვეტში, ჩანაწერი: „153“, შეიცვალოს ჩანაწერით: „25“.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ყანჩელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
725	მიწის ნაკვეთი	თაბუკაშვილის ქუჩა, N22-ის დასავლეთით	47.0	03.05.25.535	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
726	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი, N14-ის აღმოსავლეთით	122.0	03.05.23.513	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
727	მიწის ნაკვეთი	ზ.ჭავჭავაძის ქუჩა, N2- ის ჩრდილოეთით	42.0	03.01.24.701	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
728	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გაშვირი, N66-ის დასავლეთით	33.0	03.06.25.560	60.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
729	მიწის ნაკვეთი	ზ.ჭავჭავაძის ქუჩა, N26-ის მიმდებარედ	517.0	03.01.24.547	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
730	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის ბოლო მონაკვეთი	8547.0	03.05.23.391	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
731	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი, N11-ის მიმდებარედ	5359.0	03.05.23.462	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
732	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა, N25-ის მიმდებარედ	137.0	03.01.24.592	38.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
733	მიწის ნაკვეთი	ირ.აბაშიძის გამზირი, N21-ის სამხრეთით	75.0	03.01.24.698	90.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ყანჩელი